



კინგსის მათემატიკის ოლიმპიადა 2020 / I ტური

მე-6 კლასი

1. რა მინიმალური ციფრთა ჯამი(ციფრების ჯამი) შეიძლება ჰქონდეს სამნიშნა რიცხვს, რომელიც განსხვავებული ციფრებითაა ჩაწერილი?
A. 3 B. 1 C. 6
2. სანდროს 205 ლარი აქვს მხოლოდ 5-ლარიანებით და 20-ლარიანებით. რამდენი 20-ლარიანი აქვს სანდროს, თუ მას აქვს ზუსტად 9 ცალი 5-ლარიანი?
A. 9 B. 7 C. 8
3. რამდენი სხვადასხვა სამკუთხედია ნახაზზე?



- A. 8 B. 3 C. 6
4. ქუჩის გასწვრივ თანაბარი დაშორებებით დგას ლამპიონები. ორ მეზობელ ლამპიონს შორის მანძილი 2 მეტრის ტოლია. რამდენი ლამპიონია სულ, თუ პირველი ლამპიონიდან ბოლო ლამპიონამდე მანძილი 30 მეტრის ტოლია?
A. 15 B. 16 C. 17
5. გამოთვალეთ 40-მდე ყველა 5-ით დაბოლოებული რიცხვის ჯამი.
A. 80 B. 60 C. 55
6. ვანოს აქვს 5 ცალი 20ლარიანი და 6 ცალი 5 ლარიანი. მან 2 ოცლარიანი დაახურდავა 5 ლარიანებად. რამდენი ცალი ქალაქის ფული აქვს ახლა ვანოს?
A. 15 B. 17 C. 14
7. მართკუთხედი ერთი ჰორიზონტალური და ერთი ვერტიკალური ხაზით დაჭრეს მართკუთხედედად. სულ რამდენი მართკუთხედია ახლა ნახაზზე?
A. 13 B. 12 C. 9
8. იპოვეთ გაფერადებული ფიგურების პერიმეტრების ჯამი:



A. 36 B. 32 C. 37

9. დაფაზე წერია რამდენიმე რიცხვი, რომელთა ჯამი 120-ის ტოლია. თუ თითოეულს 3-ით შევამცირობთ, ჯამი 96 გახდება. რამდენი რიცხვი წერია დაფაზე?
A. 8 B. 24 C. 6

10. ხაჭაპურის ფასი პიცის ფასის 75%-ს შეადგენს. რა ღირს 2 ხაჭაპური და 1 პიცა, თუ პიცა 20 ლარი ღირს?
A) 55 ლარი B) 50 ლარი C) 60 ლარი

ბონუს დავალებები

ტესტის მაქსიმალური ქულაა 100. ბონუს დავალებების ქულა ძირითადი დავალებების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.

1. მაგთის ბონუს შეკითხვა

თორნიკეს მშობლებმა შეიძინეს მაგთის ტელევიზიისა და ინტერნეტის პაკეტი და საჩუქრად მიიღეს უფასო ზარები მაგთის ნომრებზე ოჯახის წევრებს შორის. სულ რამდენ ზარს განახორციელებენ ოჯახის წევრები, თუ სულ სამნი არიან და თითოეული მათგანი ყველა დანარჩენს თითოჯერ დაურეკავს?

A. 6

B. 3

C. 9

2. გვაქვს 5 ცალი მორი. თითოეულ მორს ჭრიან ერთი და იმავე რაოდენობით. რამდენჯერ გაჭრეს თითოეული მათგანი, თუ ჯამში მიიღეს 20 მორი?

A. 4-ჯერ

B. 3-ჯერ

C. 6-ჯერ

3. 10. (7 ქულა) ოთხი მეგობარი: ნიკა, სალომე, ზურა და ეკა ოთხსართულიანი სახლის სხვადასხვა სართულზე ცხოვრობენ. ნიკა სალომეზე მაღლა და ზურაზე დაბლა ცხოვრობს. ეკა ნიკაზე მაღლა ცხოვრობს. ზურა არ ცხოვრობს მეოთხე სართულზე. ვინ ცხოვრობს პირველ სართულზე?

A. სალომე

B. ნიკა

C. ზურა